



სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

აჭარისწყლის ჰიდროენერგო პროექტის
ფარგლებში მოქცეული სოფლების
მაცხოვრებლების საჭიროებათა კვლევა.

ანგარიში

სარჩევი

ძირითადი შედეგები	2
I. კვლევის მეთოდოლოგია	6
II. ოჯახის სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები	8
III. ოჯახის ეკონომიკური მახასიათებლები	12
IV. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება	18
V. გარემოს დაცვა	28
VI. სოფლის მეურნეობა	10
VII. ჯანდაცვა	32
VIII. ადგილობრივი თემების გაძლიერება და განვითარება	53

ძირითადი შედეგები

კვლევა განხორციელდა აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ორი მუნიციპალიტეტის, შუახევისა და ხულოს 10 სოფლის შინამეურნეობებში, რომლის მიზანს წარმოადგენდა აჭარისწყლის ჰიდროენერგო პროექტის ფარგლებში მოქცეული სოფლების მაცხოვრებლების საჭიროებათა შესწავლა. სულ გამოიკითხა 1962 ოჯახი. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 10 სოფლის (ასაკი - 18+) მცხოვრები ოჯახის წევრები. რესპონდენტების შერჩევა ხდებოდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. სულ გამოიკითხა 1113 მამრობითი სქესის, ხოლო 849 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, გამოკითხვაში მონაწილე სოფლებში შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი (ყველა წყაროს გათვალისწინებით) დაბალია. რეგულარული შემოსავალი დამოკიდებულია სახელმწიფო გასაცემლებზე და სეზონურ/მოკლევადიან პროდუქტსა თუ სამუშაოზე. კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების საშუალო მაჩვენებელი (ჯამურად) შეადგენს 350.8 ლარს, ხოლო რესპონდენტის პირადი შემოსავალი - 168.7 ლარს. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გამოკითხული რესპონდენტების/ოჯახების ძირითადი მასა ობიექტური მონაცემების (შემოსავალი, მისი სახეები და წყაროები) მიხედვით ღარიბია.

იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც საუბარია სიდარობის სუბიექტურ შეფასებაზე: 53.3%-ს ფული ძირითადი მოთხოვნილებებისთვის ყოფნის, ხოლო 26%-ს ფული ძლივს ყოფნის (ძირითადად 100 ლ-ზე ნაკლები, ან 150-300 ლარის შემოსავლის მქონე ოჯახები).

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ კვლევაში მონაწილე სოფლებში რთული მდგომარეობაა როგორც საავტომობილო გზების ასევე ტრანსპორტის მოძრაობისა და მათი უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. კერძოდ:

- ✓ სოფელში ან სოფლამდე მისასვლელი გზები არაკომფორტულია;
- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობებიდან ძირითადად სამარშრუტო ტაქსები ფუნქციონირებს;
- ✓ ერთადერთი საკითხი რაც ცალსახად მოგვარებულია, არის სოფლიდან ბათუმის მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. სხვა შემთხვევებში, მარშრუტები და გადაადგილების სიხშირე არადაამაკმაყოფილებელია;
- ✓ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ცალსახად უსაფრთხო არ არის, მეწყერსაშიშროების და გაუმართავი საავტომობილო გზების გამო.

ხე-ტყის გამოყენება კვლევაში მონაწილე სოფლის მოსახლეობის მიერ ძირითადად ზამთარში ღუმელით გათბობის მიზნით ხდება. სწორედ, ამიტომ ისინი უფრო მეტად ინფორმირებულნი არიან ხე-ტყის გამოყენების იმ ხერხების შესახებ, რომელიც უკავშირდება ხე-ტყის შეშის სახით გამოყენებას და მის გამოშრობას ამავე მიზნით. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ნაკლებადაა ინფორმირებული ხე-ტყის მდგრადი განვითარების შესახებ (სრულად ინფორმირებულთა ხვედრითი წილი შეადგენს 35%-ს) თუმცა დაახლოებით ამდეივე რესპონდენტს სურს დაესწროს სემინარს ზემოთ ხსენებული თემის შესახებ და მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. ყველაზე მეტად მოტივირებულნი

აღმოჩნდნენ რესპონდენტები იმ სოფლებიდან, სადაც ყველაზე მაღალი ან ყველაზე დაბალი ინფორმირებულობის დონე დაფიქსირდა ხე-ტყის გამოყენების სხვადასხვა ხერხების შესახებ.

კვლევის შედეგების მიხედვით, ვერ ვისაუბრებთ კონკრეტულად აქვს თუ არა ადგილი ბრაკონიერობას, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული ტენდენცია არსებობს. კერძოდ, იმ ტერიტორიაზე, სადაც რესპონდენტები აწარმოებენ ხე-ტყის მოჭრას არის თუ არა ამგვარი ქმედება ნებადართული არ იცის ან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს 53.8%-ს. ამავდროულად მხოლოდ 6.1% მიუთითებს, რომ ხე-ტყის უკანონოდ მოჭრის თაობაზე არაფერი სმენია მის სოფელში. სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია ნადირობასა და თევზაობასთან მიმართებაში (თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხე-ტყის მოჭრისაგან განსხვავებით, ნადირობასა და თევზაობაში ჩაბმულია (ბოლო 1 წლის განმავლობაში) გამოკითხულთა მხოლოდ 2.5% და არ აქვთ პირადი შეხება/ინტერესი აღნიშნულ საკითხებთან). რესპონდენტების 20% ნადირობის, ხოლო 16% თევზაობის ლიცენზიას ფლობს. ამა თუ იმ ტერიტორიაზე ნადირობის ნებადართულობის შესახებ ინფორმირებულია 52%, ხოლო თევზაობის შემთხვევაში - 28%.

რაც შეეხება წყალმომარაგებას, გამოკითხულებმა ძირითად რესურსად დაასახელეს მდინარის, ტბის, აუზის და სხვა ბუნებრივი რესურსის წყალი (76.8%). თუმცა სოფლების მიხედვით ჭრილში დამატებით სხვადასხვა რესურსები გამოვლინდა.

ზოგადი შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტების/მათი ოჯახების კომუნალური პირობები არაა დამაკმაყოფილებელია:

- ✓ შედარებით უკეთაა დარეგულირებული ტუალეტის საკითხი (ტუალეტის ფლობა მიუთითა 83%-მა) თუმცა ტუალეტების უმეტესობა არ არის კეთილმოწყობილი (36%- “თურქული/ჩეჩმა” ტუალეტი კეთილმოწყობილი დასადგომის გარეშე /ღია და 31% - „ჩარეცხვადი ტუალეტი, რომელიც მიერთებულია სადღაც სხვაგან“). 47% აღნიშნავს, რომ ტუალეტი აქვს სახლის გარეთ;
- ✓ ცხელი წყალი არ არის ხელმისაწვდომი 71.8%-თვის, კანალიზაცია და ნაგვის გატანა კი - დაახლ 85%-თვის. (თუმცა ცხელი წყალი სახლში აქვს 90%-ს, რასაც ვერ ვიტყვით კანალიზაციაზე);
- ✓ კვლევის შედეგების იხედვით ელექტროენერჯის გადასახადი არ არის მაღალი, მხოლოდ 14% იხდის 20 ლარზე მეტს;

რესპონდენტებმა მიუთითეს, რომ თანახმა არიან მათ სოფლებში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები გარემოს დაცვისთვის: ხე-ტყის გამოყენების განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდა, სოფელში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალგაზრდებისათვის ეკო-კლუბების დაარსების ხელშეწყობა (თითოეული ღონისძიება აღმოჩნდა მაღალი შეფასების ველში).

რესპონდენტებმა ჩამოთვლილ პრობლემებს შორის ყველაზე მეტად მოგვარებულად ასახელებენ სახელმწიფო გასაცემელს (პენსია/დახმარებები) ე.ი. იმ ფაქტორს, როელიც მათი რეგულარული შემოსავლის წყაროს წარმოადგენს (ეკონომიკურად არიან დამოკიდებულნი). ასევე მოგვარეულ პრობლემებს შორის დასახელდა ელექტროენერჯით და სასმელი წყლით უზრუნველყოფა (სახელმწიფო გასაცემელთან შედარებით დაბალი კოეფიციენტი).

გამოკითხული სოფლების მოსახლეობა ნაკლებად ფლობს როგორც ცხოველებს (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჩათვლით), ასევე ფრინველებს. კვლევაში აღმოჩნდა სულ რამოდენიმე ადამიანი ვინც ჩაითვლებოდა მცირე ფერმერად (ე.ი. ჰყავს 10-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ან ფრინველი). იგივე შეიძება ითქვას მიწის ფლობის შესახებ: ძირითადი ნაწილი ფლობს და ამუშავებს საკუთარ მიწას, თუმცა დასამუშავებელი მიწის ფართობი მცირეა (ნახევარ ჰა - მდე; მცირე ფერმერი უნდა ფლობდეს 1 ჰა-ზე მეტ მიწის ნაკვეთს). ბევრად მეტი ფართობისაა სხვის საკუთრებაში მყოფი მიწები, თუმცა მას ძირითადად სათიბის ან საძოვარის დანიშნულება აქვს და გამოიყენება რესპონდენტების მცირე ნაწილის მიერ (0.2%).

მიწის დასამუშავებლად ძირითადად მინერალური და ორგანული სასუქები გამოიყენება. არ იყენებს არანაირ სასუქს გამოკითხულთა 14.7%, რომლის ძირითადი მიზეზი სასუქის სიძვირეა (67.9%)

საირიგაციო სისტემებს არ იყენებს გამოკითხულთა 54.2%. ზოგადად საირიგაციო სისტემების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, რასაც მოწმობს პასუხის ვარიანტის „მიჭრს პასუხის გაცემა“ სიჭარბე, ამ სიტყმების შეფასებისას. ზოგადად, ყველაზე „პოპულარული“ საირიგაციო სისტემა სარწყავი შლანგია.

რესპონდენტი მიუთითებენ მათ სოფლებში ბიომეურნობის მეტ-ნაკლებად განვითარების შესახებ. ამას გარდა 71.4% აღნიშნავს, რომ მათ ოჯახებში ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები მოჰყავთ ორგანული სასუქების გამოყენებით (თუმცა „მიჭირს პასუხის გაცემა“-ს მაღალი ხვედრით წილი სასუქების სახეების გამოყენების მითითებისას, შესაძლოა რესპონდენტების დაბალ ინფორმირებულობაზე მიუთითებდეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ბიოპროდუქტის მოსაყვანად გამოყენებულ საშუალებებში რესპონდენტთა დაახლოებით მესამედმა მიუთითა აგროქიმიკატები). ბიოპროდუქტი გასაყიდად გააქვს 44.3%-ს, დანარჩენი რესპონდენტები პირადი მოხმარებისათვის იყენებენ.

რესპონდენტების მხოლოდ 2.7% ეწევა მეფუტკრეობას. მათგან მხოლოდ 18-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თაფლი გასაყიდად გააქვს და არა პირადი მოხმარებისთვის.

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას რაიონში ყველაზე მეტად ხელს შეუწყობს სურსათის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნა (84.6%) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანისათვის აუცილებელი მასალების შესყიდვით ფერმერების დახმარება (81.8%). თმცა ბიომეურნეობის განვითარება და ფერმერთა კოოპერატივების ჩამოყალიბებაც არ არის მათთვის უმნიშვნელო საკითხები. აას გარდა, უმრავლესობამ გამოთქვა სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებულ სემინარებზე დასწრების სურვილი (საგულისხმოა, რომ სემინარებზე დასწრება არ სურს თითქმის მესამედს).

ზოგადად კვლევაში მონაწილე სოფლების მაცხოვრებლებში სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას ფართ მასშტაბები არ გააჩნია, თუმცა გამოიკვეთა რამოდენიმე დაავადება, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავეით დგას მოსახლეობის წინაშე: სისხლის, სისხლმზადი ორგანოების დაავადებები, გულის და სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, თვალის/ყურის დაავადებები, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები და ა.შ. (მათი ხვედრით წილი არ აღემატება 7-14 %-ს).

რაც შეეხება სამედიცინო მომსახურებასა (პოლიკლინიკური, საავადმყოფო და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება) და მის ხელისაწვდომობას, კვლევამ აჩვენა რომ აღნიშნული სფეროს მდგომარეობა პრობლემატური და არადამაკმაყოფილებელია:

- ✓ რესპონდენტთა უმეტესობა საჭიროებდა სამივე ტიპის მომსახურებას (64.9%). საჭიროების სიხშირეებში ყველაზე მაღალი ხვედრით წილი აქვს სიხშირეს „შემთხვევიდან შემთხვევამდე“;
- ✓ ძალზე მცირეა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ყოველი საჭიროებისას ყოველთვის ახერხებენ ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების მიღებას; ამის საპირისპიროდ, 62.5% ზოგჯერ ან საერთოდ ვერ ახერხებდნენ ამა თუ იმ სამედიცინო მომსახურების მიღებას;
- ✓ სამედიცინო მომსახურებების არახელმისაწვდომობის ძირითად მიზეზებად დასახელდა თანხის უქონლობა (72.2%) და სამედიცინო მომსახურების სიმორე (13%);
- ✓ სამედიცინო სერვისებით იმ რესპონდენტების კმაყოფილება, ვინც ასე თუ ისე ახერხებდა აღნიშნული სერვისების მომსახურების მიღებას დაბალია. ყველა მონაცემი აღმოჩნდა დაბალი შეფასების ველში, უკიდურეს უარყოფით შეფასების წერტილთან ახლოს;
- ✓ პრობლემატურის ჯანდაცვის ობიექტების სიმორე. ჯანდაცვის ობიექტებამდე (ავთიაქი, პირველადი ჯანდაცვის პუნქტი, საავადმყოფო) მისვლას ფეხით მინიმუმ 1 საათზე მეტი, ხოლო ავტობუსით - მინიმუმ 20-25 წთ. სჭირდება;
- ✓ პრობლემები გამოვლინდა ბავშვების კვებასთან დაკავშირებით: გამოკითხულ სოფლებში ძირითადად ხარისხიანი საკვების ნაკლებობას განიცდიან (45.6%). 5.5%-მა აღნიშნა, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვები საჭმლის უქონლობის გამო მშვივრები დარჩნენ;
- ✓ იმ ოჯახებში სადაც 5 წლამდე ბავშვია (25.7%), ბავშვების 21% ექიმის მეთვალყურეობის გარეშე იზრდება, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასაკმარისი ფინანსები და პედიატრის სიმორე. თუმცა 82.5% ვაქცინაციას უტარებს 5 წლამდე ბავშვებს;
- ✓ ჯანდაცვის მოსახურების არადამაკმაყოფილებლობის გარდა, დაბალია რესპონდენტების სამედიცინო კულტურაც: გეგმიურ სამედიცინო შემოწმებას აბსოლუტური უმრავლესობა შემთხვევიდან შემთხვევამდე (65.5%) ან საერთოდ არ იტარებს (22.2%), რომლის ძირითადი მიზეზი ისევ არასაკმარისი ფინანსებია;
- ✓ კვლევის მიხედვით დაბალია რესპონდენტების სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ინფორმირებლობის დონე. დაახლოებით 41-58%-ს არც კი სმენია აღნიშნული დაავადებების შესახებ, ხოლო დაახლოებით 22-46%-ს კი მხოლოდ სმენია, მაგრამ არ გააჩნია სათანადო ინფორმაცია;

რესპონდენტები იდენტობას/კუთვნილებას გრძნობენ ძირითადად იმ ჯგუფებთან, რომლებსაც თავად წარმოადგენენ. ყველაზე მეტად იზიარებენ შემდეგი ჯგუფების ღირებულებებს: მუსლიმები (7.82), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (7.50), სოციალურად დაუცველები (7.44) და ახალგაზრდები (7.40) და სწორედ ამავე ჯგუფების ხელშეწყობისა და გაძლიერების საჭიროებაზე მიუთითებენ. რაც შეეხება გაძლიერებისა და ხელშეწყობის საშუალებებს, როგორც რესპონდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან და კვლევაში გამოვლენილი სხვაასხვა მონაცემებიდან გამომდინარე იყო მოსაოდნელი, გამოიკვეთა თემის ფინანსური გაძლიერების საკითხი (83%). თემის

გადლიერებაში ჩართვის მოსურნეა რესპონდენტთა უმრავლესობა. გადლიერების მიზნით ჩართვისთვის სასურველი თემის დასახელებისას გამოიკვეთა მუსლიმები (49.1%) და ახალგაზრდები (16.4%).

I. კვლევის მეთოდოლოგია

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“, „აჭარისწყალი ჯორჯიას“ დაკვეთით განახორციელა სოციოლოგიური გამოკითხვა აჭარის მაღალმთიანი რეგიონის ორი მუნიციპალიტეტის, შუახევისა და ხულოს 10 სოფლის შინამეურნეობებში, რომლის მიზანს იყო აჭარისწყლის ჰიდროენერგო პროექტის ფარგლებში მოქცეული სოფლების მაცხოვრებლების საჭიროებათა შესწავლა.

თავდაპირველად შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით დაგეგმილი იყო 2 200 სტანდარტიზირებული პირისპირ ინტერვიუს ჩატარება. თუმცა იმის გამო, რომ ზამთრის პერიოდში ზოგიერთ სოფელში ოჯახები ტოვებენ საცხოვრებელ ადგილებს, შედარებით ნაკლები რაოდენობის ოჯახების გამოკითხვა მოხერხდა, ნაცვლად დაგეგმილი 2 200 ოჯახისა, 1962 გამოიკითხა ოჯახი.

იხილეთ ცხრილი:1

სოფლები	თავდაპირველად დაგეგმილი გამოსაკითხი ოჯახების რაოდენობა	გამოკითხული ოჯახების რაოდენობა
დიდაჭარა (ხულო)	460	295
ღურტა (ხულო)	196	198
გელაძეები (ხულო)	86	90
პაქსაძეები (ხულო)	104	98
დიაკონიძეები (ხულო)	116	118
ვამლოვანი (ხულო)	592	575
წაბლანა (ხულო)	190	193
ახალდაბა (შუახევი)	160	157
ჩანჩხალო (შუახევი)	168	169
მახალაკიძეები (შუახევი)	85	69

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების 10 სოფლის (ასაკი - 18 +) მცხოვრები ოჯახის წევრები. ოჯახებში რესპონდენტების შერჩევა ხდებოდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მთლიანობაში გამოიკითხა 1113 მამრობითი სქესის, ხოლო 849 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

იხილეთ ცხრილი:2

ასაკობრივი ჯგუფები	რესპონდენტთა რაოდენობა
18 -25	188
25-34	328
34-44	398
45-54	355
55-64	232
65 და მეტი წლის	323
777 პასუხი არ არის	138

შერჩევის ზომა: 1962 ოჯახი.

შერჩევის დიზაინი: PPS (Probability Proportional to Size) მეთოდი.

სუპერგაიზორთა/ინტერვიუერთა ტრენინგი

კითხვარის და შერჩევის შემუშავების შემდგომ, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა“ განახორციელა ინტერვიუერთა ტრენინგი, რომელიც შეეხებოდა საკვლევი სფეროსა და კითხვარის სპეციფიკას, შერჩევის დიზაინს და ა.შ. ინტერვიუერთა რეკრუტირება მოახდინა კომპანია „აჭარისწყალი - ჯორჯია“-მ.

ინტერვიუერთა რაოდენობა: 45 ინტერვიუერი.

საველე სამუშაოები: ჩატარდა ინტერვიუერების მიერ და ცუდი მეტეოროლოგიური მდგომარეობის გამო დაახლოებით 25 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინტერვიუერებს სუპერვიზირებას უწევდა კომპანია „აჭარისწყალი - ჯორჯია“.

საველე სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა **საველე სამუშაოების კონტროლი**. კონტოლს დაექვემდებარა დასრულებულ ინტერვიუთა 10%. ველის კონტროლი განხორციელდა სატელეფონო საშუალებით. „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ თანამშრომლები დაუკავშირდნენ რესპონდენტთა ნაწილს და გადაამოწმეს ინტერვიუერების მიერ შესრულებული სამუშაო.


საველე სამუშაოების ჩატარდა 2014 წლის 3 დეკემბრიდან - 27 დეკემბერამდე.

მონაცემთა კოდირება და კომპიუტერში შეტანა: განხორციელდა კითხვარში ჩართულ ღია შეკითხვებზე რესპონდენტთა მიერ გაცემული პასუხების დაჯგუფება და ფორმალიზაცია, მათთვის კოდების (რაოდენობრივი მაჩვენებლების) მინიჭების გზით. კოდირებული პასუხები შეტანილ იქნა ყოველი კონკრეტული გამოკითხვისთვის შექმნილ ცვლადების აღწერის კომპიუტერულ ბადაში.

მონაცემების დამუშავება და ანალიზი: გამოკითხვის მონაცემები დამუშავდა სოციალურ კვლევათა სტატისტიკური პროგრამის SPSS ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკურ მონაცემებს ცხრილებისა და დიაგრამების სახით. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი განხორციელდა უნივარიაციული (სიხშირული განაწილებები, ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები) და ბივარიაციული (კროსტაბულაცია, კორელაცია) ანალიზის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.


II. ოჯახის სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

დიაგრამა №2.1:




დიაგრამა №2.2:

ოჯახური ინტეგრირება



დიაგრამა №2.3

დასაქმების მდგომარეობა




ცხრილი №2.1:

დასაქმების მდგომარეობა:	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლიძეები	პაქაძეები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალკვიძეები
დასაქმებული	13.3%	39.0%	23.7%	21.2%	16.3%	19.7%	19.2%	31.2%	16.0%	37.7%
პენსიონერი	27.8%	28.0%	15.6%	23.1%	25.5%	22.2%	16.6%	23.6%	26.6%	14.5%
სტუდენტი, მოსწავლე	-	1.7%	1.4%	2.1%	3.1%	6.6%	1.0%	4.5%	3.6%	-
დიასახლისი	7.8%	7.6%	20.7%	16.3%	13.3%	10.1%	21.2%	18.5%	21.9%	24.6%
უმუშევარი	48.9%	22.0%	36.9%	35.1%	41.8%	38.4%	40.4%	17.2%	30.8%	18.8%
სამხედრო მოხელე	-	0.8%	0.3%	0.2%	-	-	-	-	0.6%	1.4%
არცერთი	2.2%	0.8%	1.4%	1.9%	-	3.0%	1.6%	5.1%	0.6%	2.9%

დიაგრამა №2.4

დასაქმების ადგილი




ცხრილი №2.2:


დასაქმების ადგილი:	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდგარა	ვაშლიძეები	გუგუშვილები	ლურთა	წაბლაძეები	ახალდაბა	ჩანჩხალი	მასალაძეები
საჯაროსამსახურში	75.0%	6.5%	34.3%	50.0%	37.5%	46.2%	54.1%	42.9%	70.4%	57.7%
კერძოსამსახურში	-	2.2%	14.3%	18.9%	12.5%	10.3%	5.4%	14.3%	7.4%	11.5%
თვითდასაქმებული, მეწარმე	-	17.4%	8.6%	5.7%	6.3%	5.1%	-	2.0%	-	-
დასაქმებული	16.7%	52.2%	11.4%	9.0%	18.8%	2.6%	8.1%	4.1%	7.4%	-
დასაქმებულისთვის წარმოებაში	-	10.9%	12.9%	8.2%	12.5%	2.6%	-	-	-	-
დასაქმებული „აჭარისწყალი“ საქართველოსმიერ	-	10.9%	11.4%	0.8%	12.5%	30.8%	24.3%	32.7%	14.8%	19.2%
უარი პასუხზე	8.3%	-	7.1%	7.4%	-	2.6%	8.1%	4.1%	-	11.5%

დიაგრამა №2.5

დასაყრები ს ადგილი




თუ თქვენ დასაყრები ს ადგილი „აღმოსავლეთის“ საყრდენის მიერ, გაცხადებთ თუ არა რაიმე სარგებლობას?



დიაგრამა №2.6

სინამდვილის ვერაოდნობა



ცხრილი №2.3:

შინამეურნეობის წევრთა რაოდენობა:	1	2	3	4	5 - მეტი
შინამეურნეობის 0-5 წლის წევრთა რაოდენობა	66.1%	29.4%	4.0%	0.6%	-
შინამეურნეობის 6-10 წლის წევრთა რაოდენობა	74.7%	23.0%	2.1%	0.3%	-
შინამეურნეობის 11-18 წლის წევრთა რაოდენობა	62.1%	31.9%	6.0%	-	-
შინამეურნეობის 18-25 წლის წევრთა რაოდენობა	59.1%	34.4%	5.7%	0.8%	-
შინამეურნეობის 26-35 წლის წევრთა რაოდენობა	52.2%	43.2%	3.6%	0.6%	0.4%
შინამეურნეობის 36-45 წლის წევრთა რაოდენობა	46.0%	52.7%	1.2%	0.1%	-
შინამეურნეობის 46-55 წლის წევრთა რაოდენობა	42.7%	56.4%	0.9%	-	-
შინამეურნეობის 56-65 წლის წევრთა რაოდენობა	55.3%	44.5%	0.2%	-	-
შინამეურნეობის 66 წლის და მეტი წევრთა რაოდენობა	68.1%	31.3%	0.6%	-	-

ცხრილი №2.4:

სოციალური ჯგუფი:	სულ	ხულო	შუახვევი
I ჯგუფის შეზღუდული შეძლებლობების მქონე პირი	3.3%	2.7%	5.6%
II ჯგუფის შეზღუდული შეძლებლობების მქონე პირი	8.9%	8.9%	9.1%
III ჯგუფის შეზღუდული შეძლებლობების მქონე პირი	1.3%	1.5%	0.5%
ობოლი	0.8%	0.9%	0.3%
მარტოხელა დედა/მამა	1.1%	1.1%	1.0%
მარტოხელა პენსიონერი	2.1%	2.2%	1.8%
იძულებით გადაადგილებული პირი	0.3%	0.4%	-
ეროვნული უმცირესობის წრამომადგენელი	0.5%	0.6%	-
ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთი	81.8%	81.8%	81.8%



ცხრილი №2.5:

შშმ პირები	სულ	ხულო	შუახვევი
	13.5%	13.0%	15.2%

III. ოჯახის ეკონომიკური მახასიათებლები

რესპონდენტთა პირადი შემოსავლების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ როგორც ხულოს, ასევე შუახვევის სოფლებში, დაახლოებით 40%-ა ისეთი, ვისაც არ აქვს პირადი შემოსავალი. ძირითადად, პირადი შემოსავლის ოდენობა 100 – 300 ლარის ფარგლებში მერყეობს. 100- 150 ლარის შემოსავალი საერთო ჯამში გამოკითხულთა 24.4%-ს აქვს, დაახლოებით იგივე სიტუაციაა სოფლების ჭრილში, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ამ მხრივ (დაახლ. 26-29%) გამოირჩევა სამი სოფელი - ვაშლოვანი, პაქსაძეები და ჩანჩხალო. პაქსაძეებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ასევე იმ რესპონდენტებს, ვისი პირადი შემოსავალიც 100 ლარზე ნაკლებია (18%), მას ოდნავ ჩამორჩებიან წაბლანა (14%) და ვაშლოვანი (11%). დიაკონიძეებში კი ყველაზე ნაკლებია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც მიუთითა, რომ არ აქვს პირადი შემოსავალი (17%). საერთო ჯამში, კვლევის მიხედვით, საშუალო პირადი შემოსავალი თვეში შეადგენს - 168.7 ლარს.

დიაგრამა №3.1:



ცხრილი №3.1:

პირადი შემოსავალი თვეში:	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლიძეები	პაქსაძეები	ლურტა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
პირადი შემოსავალი არ აქვს	41.1%	17.8%	47.5%	35.5%	33.7%	43.4%	29.5%	33.1%	40.8%	47.8%
100 ლარამდე	6.7%	6.8%	4.1%	11.1%	18.4%	2.5%	14.0%	1.3%	8.3%	-
100-150 ლარი	23.3%	18.6%	21.0%	27.8%	29.6%	26.8%	19.7%	24.8%	25.4%	15.9%
151-300 ლარი	17.8%	17.8%	8.5%	14.1%	12.2%	9.1%	21.2%	10.2%	14.2%	14.5%
301-500 ლარი	7.8%	17.8%	8.1%	7.1%	4.1%	8.1%	8.8%	14.0%	7.7%	17.4%
501 და მეტი ლარი	3.3%	21.2%	10.5%	4.0%	2.0%	9.6%	6.7%	15.3%	3.6%	2.9%
უარი პასუხზე	-	-	0.3%	0.3%	-	0.5%	-	1.3%	-	1.4%


რაც შეეხება შინამეურნეობის საშუალო შემოსავალს თვეში, კვლევის მიხედვით, აქ ოდნავ განსხვავებული სურათია. შედარებით მეტია როგორც 100 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების, ასევე 300-500 ლარის შემოსავლის მქონე ოჯახების ხვედრითი წილი. 100 ლარამდე შემოსავლის მქონე ყველაზე მეტი ოჯახი კვლავ პაქსაძეებში აღინიშნა - 28.6%. ასევე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა გელაძეებში (25.6%), ჩანჩხალოში (21.9%) და ლურტაში (18.7%). 301-500 ლარის შემოსავლის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ სოფლებში: დიაკონიძეები (35.6%), ახალდაბა (24.2%), დიდაჭარა (20%). რაც შეეხება შედარებით „მაღალშემოსავლიან“ ოჯახებს: ამ მხრივ გამოირჩევიან მახალაკიძეები (501-800 ლარი და 801 და მეტი ლარი - 21-23%) და ახალდაბა (501-800

ლარი და 801 და მეტი ლარი - 18-19%) და ნაწილობრივ დიაკონიძეები (501-800 ლარი - 33.9%). ზოგადად, ყველა გამოკითხული შინამეურნეობის საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი კვლევის მიხედვით, შეადგენს 350.8 ლარს. საშუალო მაჩვენებლების მიხედვით შემოსავლების შედარებით მაღალი დონე დაფიქსირდა სწორედ აღნიშნულ სამ სოფელში: მახალაკიძეები, ახალდაბა და დიაკონიძეები.

ცხრილი №3.2:

ოჯახის შემოსავალი თვეში:	იგმეცაღვ	იგმეცაღვ	აფაჩაღვ	იგმეცაღვ	იგმეცაღვ	აფაჩაღვ	აფაჩაღვ	აფაჩაღვ	აფაჩაღვ	იგმეცაღვ
ოჯახს შემოსავალი არ აქვს	2.2%	0.8%	2.7%	9.7%	4.1%	9.6%	3.6%	5.7%	4.7%	4.3%
100 ლარამდე	25.6%	-	8.5%	11.7%	28.6%	18.7%	11.9%	7.0%	21.9%	2.9%
100-200 ლარი	28.9%	6.8%	22.7%	26.1%	24.5%	22.7%	24.9%	12.1%	26.0%	10.1%
201-300 ლარი	18.9%	12.7%	21.4%	24.5%	26.5%	14.1%	22.8%	11.5%	22.5%	18.8%
301-500 ლარი	13.3%	35.6%	20.0%	15.5%	11.2%	13.6%	21.8%	24.2%	12.4%	17.4%
501-800 ლარი	10.0%	33.9%	10.5%	9.7%	4.1%	14.6%	10.4%	18.5%	7.1%	21.7%
801 და მეტი ლარი	1.1%	10.2%	13.9%	2.4%	1.0%	6.1%	4.7%	19.7%	5.3%	23.2%
უარი პასუხზე	-	-	0.3%	0.3%	-	0.5%	-	1.3%	-	1.4%

დიაგრამა №3.2:



ყოველთვიურად ოჯახის რეგულარული შემოსავალი ძირითადად პენსია/შემწეობები/სახელმწიფო დახმარებებით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით და

მოკლევადიანი სამუშაოთი განისაზღვრება (პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შემოსავლის წყაროები ამავე თანმიმდევრობით ლაგდება). რაც შეეხება კონკრეტულად სოფლებს, შედარებით განსხვავებული მდგომარეობაა: დიაკონიძეებში, დიდაჭარასა და ღურტაში ყველაზე მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი) სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალია, ახალდაბაში - მოკლევადიანი სამუშაო, ხოლო ასევე დიაკონიძეებში, ვაშლოვანში, ჩანჩხალოსა და მახალაკიძეებში - მოკლევადიანი სამუშაოს პროცენტული მაჩვენებლები აღემატება სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მიღებული შემოსავლის მაჩვენებლებს.

ცხრილი №3.3:

ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო:	სულ	ხულო	შუახევი
პენსია/შემწეობები/სახელმწიფო დახმარებები	44.20%	43.40%	47.60%
შემოსავალ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან	34.00%	38.90%	14.70%
მოკლევადიანი სამუშაო	26.90%	22.60%	43.80%
შემოსავალი თვითდასაქმებიდან	14.70%	14.20%	16.40%
ხელფასი (კერძო ან საჯარო სამსახურში)	12.20%	10.00%	21.20%
სხვა (იჯარიდან, დეპოზიტიდან, ფულის სესხებით)	8.60%	8.70%	8.40%
დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისგან	1.40%	1.50%	0.80%
დახმარება უცხოეთში მცხოვრები ნათესავებისგან	0.90%	0.80%	1.30%
უარი პასუხზე	1.80%	2.20%	0.50%

ცხრილი №3.4:


ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო:	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლოვანი	პაქსაძეები	ღურტა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
პენსია/შემწეობები/სახელმწიფო დახმარებები	56.7%	29.7%	38.6%	48.5%	58.2%	25.8%	48.2%	31.2%	55.0%	66.7%
შემოსავალ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან	22.2%	74.6%	59.3%	17.9%	17.3%	70.2%	35.2%	30.6%	2.4%	8.7%
მოკლევადიანი სამუშაო	4.4%	49.2%	21.0%	28.3%	23.5%	9.1%	13.5%	53.5%	30.8%	53.6%
შემოსავალი თვითდასაქმებიდან	1.1%	22.0%	14.2%	17.2%	2.0%	4.0%	23.3%	22.9%	14.8%	5.8%
ხელფასი (კერძო ან საჯარო სამსახურში)	12.2%	6.8%	8.1%	16.2%	-	2.5%	7.3%	23.6%	16.6%	27.5%
სხვა (იჯარიდან, დეპოზიტიდან, ფულის სესხებით)	2.2%	39.8%	1.4%	9.0%	6.1%	8.1%	5.2%	13.4%	7.1%	-
დახმარება საქართველოში მცხოვრები ნათესავებისგან	3.3%	10.2%	0.3%	1.0%	-	1.0%	-	0.6%	0.6%	1.4%
დახმარება უცხოეთში მცხოვრები ნათესავებისგან	1.1%	0.8%	1.0%	0.5%	-	-	2.1%	3.2%	-	-
უარი პასუხზე	-	0.8%	0.3%	4.0%	1.0%	1.0%	3.1%	-	-	2.9%

რაც შეეხება რესპონდენტების მიერ სიღარიბის სუბიექტურ შეფასებას: ზოგადი შედეგების მიხედვით ხულოსა და შუახევის გამოკითხული სოფლების მოსახლეობა სუბიექტურად ღარიბია - ნახევარზე ოდნავ მეტი მიუთითებს, რომ ფული მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებებისათვის ყოფნით (53.3%), ხოლო მეტხედზე ოდნავ მეტი კი აღიშნავს, რომ ფული ძლივს ყოფნით. დაახლოებით ამგვარი თანაფარდობაა ხულოს რაიონის სოფლებში, ხოლო შუახევში აღნიშნულ ორ შეფასებას შორის პროცენტულად ნაკლები განსხვავებაა. კვლევის მონაცემების მიხედვით ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება „ობიექტურისგან“ (მატერიალური შემოსავალი - პირადი და შინამეურნეობის) განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში შედარებით „შემძლებული“ სოფლების რიგში აღმოჩნდა ღურტა და დიდაჭარა, სადაც უფრო მეტმა რესპონდენტმა მიუთითა „ფული საჭმელში და ტანსაცმელში გვყოფნის, მაგრამ გადანახვა არ შეგვიძლია“ (ღურტა - 25.8%, დიდაჭარა - 17.7%), ღურტაში ასევე შედარებით მეტია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც მიუთითა, რომ ფული საჭმელში და ტანსაცმელში ყოფნით და ცოტა გადანახვაც შეუძლიათ (7.1%).

იმ ოჯახების წარმომადგენლების უმეტესობა, რომელთა შემოსავალიც 150 – 300 და ზოგიერთ შემთხვევაში 301-500 ლარს არ აღემატება აღნიშნავს, რომ შემოსავალი ძლივს ყოფნით ან მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებებისთვის ყოფნით. შედარებით „შემძლებული“ რესპონდენტები უფრო მეტად მიუთითებენ ყოველდღიური და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნილებების მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილების შესახებ. სიტუაცია დაახლოებით იგივეა, როდესაც მონაცემების გაანალიზება ხდება არა რესპონდენტების, არამედ ოჯახების ჯამური რეგულარული შემოსავლის მიხედვით.

დიაგრამა №3.3:

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის
სუბიექტური შეფასება



ცხრილი №3.5:

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტური შეფასება	გელამები	დიაკონიები	დიდაჭარა	ვაშლოვანი	პაქსამები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალკიძეები
ფული ყველაფერში გვეყოფნის, შეგვიძლია ვიყიდოთ რასაც მოვისურვებთ	0.1%	0.1%	-	-	-	0.7%	-	-	-	-
ფული საჭმელში და ტანსაცმელში გვეყოფნის და შეგვიძლია ცოტა გადავინახოთ	1.8%	2.0%	0.8%	2.2%	-	7.1%	0.2%	-	2.0%	2.1%
ფული საჭმელში და ტანსაცმელში გვეყოფნის, მაგრამ გადაინახვა არ შეგვიძლია	11.0%	9.3%	17.7%	7.8%	3.4%	25.8%	3.7%	1.0%	9.1%	9.8%
ფული ძლივს გვეყოფნის	26.1%	22.5%	40.5%	20.0%	30.5%	37.6%	18.3%	13.3%	19.2%	16.6%
ფული მხოლოდ ძირითადი მოთხოვნილებებისთვის გვეყოფნის	53.3%	59.3%	29.4%	66.7%	61.9%	26.1%	72.9%	82.7%	56.6%	56.0%
მიჭირს პასუხისგაცემა	7.6%	6.6%	11.6%	3.3%	4.2%	2.7%	5.0%	3.1%	13.1%	15.5%

როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, კვლევაში მონაწილე სოფლებში შინამეურნეობების საშუალო შემოსავალი (ყველა წყაროს გათვალისწინებით) დაბალია. რეგულარული შემოსავალი დამოკიდებულია სახელმწიფო გასაცემლებზე და სეზონურ/მოკლევადიან პროდუქტსა თუ სამუშაოზე. კვლევაში მონაწილე შინამეურნეობების საშუალო მაჩვენებელი (ჯამურად) შეადგენს 350.8 ლარს, ხოლო რესპონდენტის პირადი შემოსავალი - 168.7 ლარს. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ გამოკითხული რესპონდენტების/ოჯახების ძირითადი მასა ობიექტური მონაცემების (შემოსავალი, მისი სახეები და წყაროები) მიხედვით ღარიბია.

იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც საუბარია სიდარის სუბიექტურ შეფასებაზე: 53.3%-ს ფული ძირითადი მოთხოვნილებებისთვის ყოფნის, ხოლო 26%-ს ფული ძლივს ყოფნის (ძირითადად 100 ლ-ზე ნაკლები, ან 150-300 ლარის შეოსავლის მქონე ოჯახები).


IV. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეფასდეს თუ რამდენად კომფორტულია გზებზე გადაადგილება სოფლებში როგორც ფეხით მოსიარულეებისათვის, ასევე მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისა და ტრანსპორტის გადაადგილებისათვის. როგორც აღმოჩნდა, ზემოთ აღნიშნული გზა - როგორც სოფელში არსებული, ასევე სოფლამდე მისასვლელი - ან არაკომფორტულია, ან მხოლოდ ნაწილობრივ არის კომფორტული. რაიონულ ჭრილში, ხულოს რაიონში უფრო ჭარბობს პსუხიები რაოდენობა „ნაწილობრივ“ სოფლამდე მისასვლელ გზასთან მიმართებაში. განსხვავებები აღინიშნა სოფლების მიხედვით ჭრილში, კერძოდ:


- ✓ **სოფელში მისასვლელი გზა** - დიდაჭარაში, ახალდაბასა და მახალაკიძეებში გზები ნაწილობრივ არაკომფორტულია მოსახლეობის უმეტესობის განცხადებით; დიაკონიძეებსა და პაქსაძეებში საერთოდ არ დაფიქსირებული გზების კომფორტულობის აღმნიშვნელი პასუხი; ასევე პაქსაძეებში ცალსახად ხაზი გაესვა გზების არაკომფორტულობას; წაბლანაში მოსახლეობის უმრავლესობამ მიუთითა პასუხი „ნაწილობრივ“; ღურტასა და ჩანჩხალოში გზების არაკომფორტულობის მაჩვენებელი აღემატება ნაწილობრივ კომფორტულობის მაჩვენებელს.
- ✓ **სოფლამდე მისასვლელი გზა** - გელაძეებში დიაკონიძეებსა და პაქსაძეებში საერთოდ არ დაფიქსირებულა გზების კომფორტულობის მაჩვენებელი; ამას გარდა, პაქსაძეებში ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირდა გზების არაკომფორტულობა, ხოლო დიაკონიძეებსა და გელაძეებში იგივე მიუთითა აბსოლუტურმა უმრავლესობამ; ღურტასა და ახალდაბაში უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებდა გზების არაკომფორტულობის შესახებ, ხოლო დანარჩენ სოფლებში - დიდაჭარა, ვაშლოვანი, წაბლანა, ჩანჩხალო და მახალაკიძეები - უფრო მეტად აღინიშნა გზების ნაწილობრივი არაკომფორტულობა.

დიაგრამა №4.1:

არის თუ არა კომფორტული სოფელში არსებულ გზა



არის თუ არა კომფორტული სოფელში არსებული გზა



ცხრილი №4.1:

არის თუ არა კომფორტული სოფელში არსებული გზა:	ხულო				შუახევი			
	დიახ	ნაწილობრივ	არა	მწერს/გ	დიახ	ნაწილობრივ	არა	მწერს/გ
ფეხით მოსიარულეებისათვის	9.3%	53.2%	35.7%	1.8%	7.8%	48.6%	42.5%	1.0%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	1.7%	49.8%	44.7%	3.8%	5.8%	37.5%	54.2%	2.5%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	1.9%	50.4%	43.1%	4.7%	3.8%	42.8%	51.1%	2.3%

ცხრილი №4.2:

არის თუ არა კომფორტული სოფლამდე მისასვლელი გზა:	ხელო				შუახევი			
	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ
ფეხით მოსიარულეებისათვის	11.5%	61.5%	22.6%	4.5%	9.1%	46.3%	39.5%	5.1%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	7.1%	61.6%	25.1%	6.3%	2.3%	54.2%	38.7%	4.8%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	7.3%	60.5%	25.1%	7.0%	2.3%	54.7%	37.7%	5.3%

ცხრილი №4.3:

არის თუ არა კომფორტული სოფელში არსებული გზა:	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ
გელაძეები				
ფეხით მოსიარულეებისათვის	4.4%	93.3%	2.2%	-
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	6.7%	72.2%	6.7%	14.4%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	6.7%	71.1%	7.8%	14.4%
დიაკონიძეები				
ფეხით მოსიარულეებისათვის	-	86.4%	12.7%	0.8%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	-	85.6%	13.6%	0.8%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	-	85.6%	13.6%	0.8%
დიდაჭარა				
ფეხით მოსიარულეებისათვის	9.8%	31.5%	54.2%	4.4%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	0.7%	31.9%	62.4%	5.1%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	0.7%	36.6%	58.0%	4.7%
ვამლოვანი				
ფეხით მოსიარულეებისათვის	9.6%	58.8%	30.4%	1.2%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	1.2%	51.3%	46.3%	1.2%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	1.2%	53.6%	43.3%	1.9%
პაკსაძეები				
ფეხით მოსიარულეებისათვის	-	4.1%	95.9%	-
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	-	2.0%	98.0%	-
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	-	2.0%	98.0%	-
ღურტა				
ფეხით მოსიარულეებისათვის	6.1%	39.4%	53.5%	1.0%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	1.5%	35.4%	56.1%	7.1%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	2.0%	34.3%	56.1%	7.6%
წაბლანა				
ფეხით მოსიარულეებისათვის	23.8%	69.9%	3.6%	2.6%
მსუბუქი ავტომობილის მფლობელებისათვის	4.1%	79.8%	11.4%	4.7%
ტრანსპორტით გადაადგილებისათვის	5.2%	71.5%	13.5%	9.8%

არის თუ არა კომფორტული სოფელში არსებული გზა:	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ
ახალდაბა				
ფეხითმოსიარულეებისათვის	8.3%	63.7%	26.8%	1.3%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	12.1%	60.5%	22.9%	4.5%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	7.6%	72.6%	15.9%	3.8%
ჩანჩხალო				
ფეხითმოსიარულეებისათვის	8.3%	32.5%	58.6%	0.6%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	2.4%	27.2%	69.8%	0.6%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	1.8%	26.6%	71.0%	0.6%
მახალაკიძეები				
ფეხითმოსიარულეებისათვის	5.8%	53.6%	39.1%	1.4%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის		10.1%	87.0%	2.9%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის		14.5%	82.6%	2.9%

ცხრილი №4.4:


არის თუ არა კომფორტული სოფელამდე მისასვლელი გზა:	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ
გელაძეები				
ფეხითმოსიარულეებისათვის	2.2%	95.6%	1.1%	1.1%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის		82.2%	2.2%	15.6%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის		82.2%	2.2%	15.6%
დიაკონიძეები				
ფეხითმოსიარულეებისათვის		87.3%	11.0%	1.7%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის		86.4%	11.9%	1.7%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის		85.6%	12.7%	1.7%
დიდაჭარა				
ფეხითმოსიარულეებისათვის	12.9%	65.4%	15.9%	5.8%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	7.8%	69.5%	16.9%	5.8%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	8.8%	67.1%	18.3%	5.8%
ვამლოვანი				
ფეხითმოსიარულეებისათვის	19.7%	63.8%	13.9%	2.6%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	13.7%	65.9%	18.1%	2.3%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	14.4%	65.0%	17.4%	3.1%
პაქსაძეები				
ფეხითმოსიარულეებისათვის		1.0%	99.0%	
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის		1.0%	99.0%	
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის		1.0%	99.0%	
ღურტა				
ფეხითმოსიარულეებისათვის	4.0%	34.8%	54.0%	7.1%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	1.0%	38.9%	49.0%	11.1%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	1.0%	35.4%	51.0%	12.6%
წაბლანა				
ფეხითმოსიარულეებისათვის	9.8%	74.6%	4.7%	10.9%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	3.6%	65.8%	15.0%	15.5%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	2.1%	67.4%	13.0%	17.6%

არის თუ არა კომფორტული სოფლამდე მისასვლელი გზა:	დიახ	ნაწილობრივ	არა	მიჭირს პ/გ
ახალდაბა				
ფეხითმოსიარულეებისათვის	3.8%	31.8%	54.1%	10.2%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	4.5%	68.8%	17.2%	9.6%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	4.5%	72.6%	12.7%	10.2%
ჩანჩხალო				
ფეხითმოსიარულეებისათვის	9.5%	56.2%	33.1%	1.2%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	0.6%	45.6%	52.7%	1.2%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	0.6%	43.2%	55.0%	1.2%
მახალაკიძეები				
ფეხითმოსიარულეებისათვის	20.3%	55.1%	21.7%	2.9%
მსუბუქიავტომობილისმფლობელებისათვის	1.4%	42.0%	53.6%	2.9%
ტრანსპორტითგადაადგილებისათვის	1.4%	42.0%	52.2%	4.3%

როგორც კვლევის შედეგებიდან ირკვევა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობებიდან, კვლევაში მონაწილე ხულოსა და შუახევის სოფლებში ძირითადად სამარშრუტო ტაქსები გამოიყენება მგზავრების გადაადგილებისათვის.

დიაგრამა №4.2:

რა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს თქვენს სოფელში?



ცხრილი №4.5:

რა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს თქვენს სოფელში?	ხულო						შუახვევი			
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლიძეები	პაქსაძეები	ლურთა	წაბლაძეები	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაძეები
ავტობუსი	-	-	3.1%	1.0%	-	-	3.1%	3.8%	-	-
სამარშრუტო ტაქსი	62.2%	83.9%	77.8%	83.7%	91.8%	83.3%	87.6%	89.2%	96.4%	100.0%
არცერთი	-	-	-	1.2%	-	-	-	-	-	-
სატვირთო	-	-	9.5%	-	-	-	0.5%	-	-	-
მსუბუქი	-	-	0.6%	0.2%	-	-	-	-	-	-
მიჭირს პასუხის გაცემა	37.8%	16.1%	8.9%	13.9%	8.2%	16.7%	8.8%	7.0%	3.6%	-

რაც შეეხება ტრანსპორტის გადაადგილების სიხშირეს, სახარბიელო მდგომარეობა არც ამ შემთხვევაშია:

- ✓ საერთო ჯამში ხულოსა და შუახვევის აღნიშნულ სოფლებში ტრანსპორტი ამა თ იმ მიმართულებით არ გადაადგილდება. ეს განსაკუთრებით ეხება შუახვევის რაიონს;
- ✓ მაღალია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისაც გაუჭირდა პასუხის გაცემა.

რაც შეეხება ტრანსპორტის მოძრაობის ცალკეულ მიმართულებებს:

- ✓ ერთი სოფლიდან მეორეში - ტრანსპორტის გადაადგილება როგორც ხულოს, ისე შუახვევის სოფლებში თითქმის არ ხდება, თუმცა შუახვევში უდნავ უარესი მდგომარეობაა. იგივე შეიძლება ითქვას სოფლიდან რაიონული ცენტრის მიმართულებით გადაადგილების შესახებ;
- ✓ სოფლიდან სხვა რაიონის მიმართულებით ხულოს რაიონის სოფლებში შედარებით ხშირად გადაადგილდება ტრანსპორტი, ხოლო თავად სოფელში გადაადგილების მხრივ პირიქით - შუახვევში ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა;
- ✓ ცალსახად მოგვარებულია სოფლიდან ბათუმის მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობა.

ცხრილი №4.6:


რა სიხშირით გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი თქვენი სოფლიდან სხვადასხვა მიმართულებით:	სულ	ხულო	შუახვევი
ერთი სოფლიდან მეორეში			
დღეში ერთხელ	8.3%	8.4%	7.8%
დღეში ორჯერ	1.3%	1.7%	-
ორ დღეში ერთხელ	0.1%	0.1%	-
კვირაში რამდენჯერმე	2.4%	2.9%	0.5%
უარი პასუხზე	22.9%	27.4%	5.1%
ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება	61.0%	54.9%	85.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	3.9%	4.6%	1.3%
სოფლიდან რაიონული ცენტრის მიმართულებით			

რა სიხშირით გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტი თქვენი სოფლიდან სხვადასხვა მიმართულებით:	სულ	ხულო	შუახევი
დღეში ერთხელ	30.7%	33.2%	20.5%
დღეში ორჯერ	5.6%	6.9%	0.3%
ორ დღეში ერთხელ	0.3%	0.3%	0.3%
კვირაში რამდენჯერმე	9.5%	11.9%	-
უარი პასუხზე	15.7%	18.2%	6.1%
ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება	37.3%	28.5%	71.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.0%	1.0%	1.0%
სოფლიდან სხვა რაიონის მიმართულებით			
დღეში ერთხელ	16.1%	19.2%	3.5%
დღეში ორჯერ	2.2%	2.7%	0.3%
ორ დღეში ერთხელ	0.1%	0.1%	
კვირაში რამდენჯერმე	1.5%	1.6%	1.3%
უარი პასუხზე	22.8%	26.9%	6.3%
ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება	55.6%	47.5%	87.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	1.7%	1.9%	1.0%
სოფლიდან ბათუმის მიმართულებით			
დღეში ერთხელ	84.0%	80.7%	97.2%
დღეში ორჯერ	2.8%	3.3%	0.8%
კვირაში რამდენჯერმე	8.2%	10.1%	0.5%
უარი პასუხზე	0.5%	0.5%	0.5%
ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება	4.1%	5.1%	0.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	0.4%	0.3%	0.8%
თავად სოფელში (სკოლამდე, ბაზრამდე და ა.შ.)			
დღეში ერთხელ	18.4%	20.2%	11.4%
დღეში ორჯერ	9.7%	3.7%	33.7%
კვირაში რამდენჯერმე	1.3%	1.7%	
უარი პასუხზე	21.9%	26.0%	5.3%
ამ მიმართულებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ გადაადგილდება	45.8%	45.1%	48.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.9%	3.4%	0.8%

ზოგადად გზების უსაფრთხოებაზე საუბრისას, არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების შეფასება. კვლევის მონაცემებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტებისათვის ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსი მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა, როგორც ხულოს, ასევე შუახევის რაიონის სოფლებში. ძალზე მინიმალურია საზოგადოებრივ ტრანსპორტის უსაფრთხოების აღმნიშვნელი პასუხების ხვედრითი წილი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პაქსაძეებში შედარებით მეტად მიუთითებენ სამარშრუტო ტაქსების უსაფრთხოებაზე.

დიაგრამა №4.3:

რამდენად უსაფრთხოა საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადადგილება თქვენი სოფლიდან სხვადასხვა მარშრუტებით?



ცხრილი №4.7:

რამდენად უსაფრთხოა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება თქვენი სოფლიდან სხვადასხვა მიმართულებით?	სულ	ხულო	შუაბევი
ავტობუსი			
ძალზე უსაფრთხოა	2.5%	1.4%	6.8%
მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა	38.4%	35.2%	51.4%
არ არის უსაფრთხო	6.6%	7.4%	3.5%
უარი პასუხზე	47.1%	51.4%	30.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.3%	4.6%	8.1%
სამარშრუტო ტაქსი			
ძალზე უსაფრთხოა	5.2%	4.9%	6.6%
მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა	75.1%	77.5%	65.3%
არ არის უსაფრთხო	11.6%	10.7%	15.4%
უარი პასუხზე	3.7%	3.0%	6.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.3%	3.9%	6.1%


ცხრილი №4. 8:

რამდენად უსაფრთხოა საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადაადგილება თქვენი სოფლიდან სხვადასხვა მიმართულებით?	ხულო						შუახვევი			
	გულაძეები	დიაგონიები	დიდაჭარა	ვაშლოვანი	პაქსაძეები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალკიციები
აგტობუსი										
ძალზე უსაფრთხოა	-	-	6.1%	0.2%	-	0.5%	1.0%	17.2%	-	-
მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა	2.2%	6.8%	58.0%	51.0%	-	19.2%	20.2%	65.6%	43.8%	37.7%
არ არის უსაფრთხო	-	1.7%	11.2%	13.4%	2.0%	1.0%	-	1.3%	1.2%	14.5%
უარი პასუხზე	97.8%	89.0%	12.5%	35.3%	92.9%	76.8%	67.4%	14.0%	55.0%	5.8%
მიჭირს პასუხის გაცემა	-	2.5%	12.2%	0.2%	5.1%	2.5%	11.4%	1.9%	-	42.0%
სამარშრუტო ტაქსი										
ძალზე უსაფრთხოა	-	-	5.8%	1.4%	32.7%	1.0%	9.3%	15.9%	0.6%	-
მეტ-ნაკლებად უსაფრთხოა	97.8%	85.6%	66.8%	79.1%	62.2%	87.9%	72.0%	70.1%	65.1%	55.1%
არ არის უსაფრთხო	-	11.0%	13.9%	14.6%	1.0%	6.1%	8.3%	1.3%	30.2%	11.6%
უარი პასუხზე	2.2%	0.8%	1.0%	4.7%	-	2.0%	5.2%	11.5%	4.1%	1.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	-	2.5%	12.5%	0.2%	4.1%	3.0%	5.2%	1.3%	-	31.9%

გზების უსაფრთხოების ნაკლებობის მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ ძირითადად მეწყერსაშიშროებას (67-70%). ამას გარდა, რესპონდენტების ნაწილი საუბრობს საავტომობილო გზების მოუწესრიგებლობის შესახებ (12-15%), რომელსაც ძირითადად ხაზი გაესვა ვაშლოვანსა და დიდაჭარაში.

ცხრილი №4.4:

რამდენად უსაფრთხოა (net-naki ebad usaf r T xo) sazo gad o ebr i vi t r anspo r t i T gad aad gi l eba?



ცხრილი №4.9:

რატომ არ არის უსაფრთხო (მეტ-ნაკლებად უსაფრთხო) საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება?	ხულო		შუახვევი	
	ავტობუსი	სამარშრუტო ტაქსი	ავტობუსი	სამარშრუტო ტაქსი
ტრანსპორტი არ არის გამართული	3.1%	5.2%	3.2%	5.9%
ტრანსპორტი არ არის კომფორტული	3.7%	10.9%	5.1%	8.8%
ტრანსპორტს არ ემსახურებიან კომპეტენტური მძღოლები	1.9%	2.7%	1.8%	4.1%
საავტომობილო გზები გადატვირთულია	4.9%	6.3%	2.3%	27.9%
საავტომობილო გზებზე მეწყერის საშიშროებაა	69.9%	71.1%	59.4%	68.3%
საავტომობილო გზები არ არის მოწესრიგებული	20.4%	15.5%	0.9%	0.9%

ცხრილი №4.10:

რატომ არ არის უსაფრთხო (მეტ-ნაკლებად უსაფრთხო) საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება? (ავტობუსი)	ხულო						შუახვევი			
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლივანი	პაქსაძეები	ღურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალავიძეები
ტრანსპორტი არ არის გამართული	2.3%	11.4%	7.6%	7.4%	-	2.7%	2.6%	2.7%	-	8.7%
ტრანსპორტი არ არის კომფორტული	3.4%	7.9%	6.3%	18.0%	-	3.2%	12.9%	9.8%	-	37.0%
ტრანსპორტს არ ემსახურებიან კომპეტენტური მძღოლები	-	12.3%	2.1%	2.6%	-	2.2%	0.6%	10.7%	-	2.2%
საავტომობილო გზები გადატვირთულია	2.3%	4.4%	5.9%	6.7%	11.3%	9.1%	3.9%	73.2%	1.2%	10.9%
საავტომობილო გზებზე მეწყერის საშიშროებაა	95.5%	93.0%	65.1%	54.2%	85.5%	93.0%	77.4%	18.8%	96.9%	89.1%
საავტომობილო გზები არ არის მოწესრიგებული	-	0.9%	21.0%	27.8%	-	1.1%	7.1%	2.7%	-	-

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ კვლევაში მონაწილე სოფლებში რთული მდგომარეობაა როგორც საავტომობილო გზების ასევე ტრანსპორტის მოძრაობისა და მათი უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. კერძოდ:

- ✓ სოფელში ან სოფლამდე მისასვლელი გზები არაკომფორტულია;

- ✓ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახეობებიდან ძირითადად სამარშრუტო ტაქსები ფუნქციონირებს;
- ✓ ერთადერთი საკითხი რაც ცალსახად მოგვარებულია, არის სოფლიდან ბათუმის მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. სხვა შემთხვევებში, მარშრუტები და გადაადგილების სიხშირე არადადამაკმაყოფილებელია;
- ✓ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა ცალსახად უსაფრთხო არ არის, მეწყერსაშიშროების და გაუმართავი საავტომობილო გზების გამო.

V. გარემოს დაცვა


ხე-ტყის მდგრადი გამოყენება

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (95.8%) გასულ ზამთარს გასათბობად იყენებდა შემის/ნახერხის ღუმელს. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი თავად/მისი ოჯახის წევრი აწარმოებს ხე-ტყის მოჭრას. სოფლების მიხედვით ჭრილში გამოვლინდა, რომ გელაძეებში ყველაზე მეტი რესპონდენტი ან მისი ოჯახის წევრი აწარმოებს ხე-ტყის მოჭრას (73.3%), ხოლო ყველაზე ნაკლები - მახალაკიძეებსა (4.3%) და პაქსაძეებში (13.3%).

ხე-ტყის მდგრადი გამოყენების შესახებ ინფორმაციას ფლობს გამოკითხულთა მხოლოდ 35%. ძირითადად, ინფორმაციას ფლობენ ნაწილობრივ (44.8%), ან საერთოდ არ ფლობენ (15.2%). სოფლების მიხედვით ჭრილში ყველაზე ინფორმირებულნი ხე-ტყის მდგრადი გამოყენების შესახებ არიან გელაძეებში (74.2%), მახალაკიძეებში (50%), ხოლო ყველზე ნაკლებად - დიდაჭარაში (16.5%)


დიაგრამა №5.1:

რატო იყენებთ ბუნებრივ ან სინთეზურ გაზს?




დიაგრამა №5.2:

როგორ ხდებოდა თქვენთვის უფრო ადვილი გაზის გამოყენება?



როგორ ხდებოდა თქვენთვის უფრო ადვილი გაზის გამოყენება სესახებ?



ცხრილი №5.1:

თქვენ თავად ან თქვენი ოჯახის წევრი აწარმოებდით თუ არა ხე-ტყის მოჭრას?	ხელო							შუახევი		
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლივანი	პაქსაძეები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
დიახ	73.3%	26.3%	44.7%	24.3%	13.3%	37.4%	39.9%	22.3%	45.6%	4.3%
არა	21.1%	72.9%	54.6%	74.3%	86.7%	61.6%	53.4%	76.4%	53.8%	94.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	5.6%	0.8%	0.7%	1.4%	-	1.0%	6.7%	1.3%	0.6%	1.4%

ცხრილი №5.2:

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ხე-ტყის მდგრადი გამოყენების შესახებ?	ხელო							შუახევი		
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლივანი	პაქსაძეები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
დიახ	74.2%	35.5%	16.5%	33.6%	46.2%	46.7%	29.3%	47.2%	22.1%	50.0%
ნაწილობრივ	19.7%	58.1%	58.6%	28.8%	46.2%	36.0%	59.8%	36.1%	66.2%	-
არა	-	6.5%	21.1%	30.1%	-	16.0%	7.3%	2.8%	9.1%	25.0%
მიჭირს პასუხის გაცემა	6.1%	-	3.8%	7.5%	7.7%	1.3%	3.7%	13.9%	2.6%	25.0%

რაც შეეხება ხე-ტყის გამოყენების სხვადასხვა ხერხებს:

- ✓ რესპონდენტებისთვის მიცემული ჩამონათვალიდან, სრულად ინფორმირებული ამა თუ იმ ხერხის შესახებ 28 – 47%-ია;
- ✓ ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი/არაინფორმირებულნი რესპონდენტები არიან ხე-ტყის დაზიანების გარეშე მოჭრის შესახებ („არა“ – 23.6%);
- ✓ დანარჩენი ხერხების შესახებ ინფორმირება შედარებით მაღალია, რადგან იგი ეხება ხე-ტყის ღუმელისთვის გამოყენებას და მის გამოშრობას ამავე მიზნისთვის (ე.ი. რესპონდენტებისთვის ჩვეულ და კარგად ნაცნობ საქმიანობას);
- ✓ სოფლების მიხედვით ჭრილში გამოვლინდა, რომ გელაძეებსა და მახალაკიძეებში ყველაზე მეტია სრულად ინფორმირებულთა რიცხვი ხე-ტყის გამოყენების სხვადასხვა ხერხის შესახებ, ხოლო დიაკონიძეებსა და ჩანჩხალოში - ყველაზე ნაკლები.

გასათვობად გამოყენებამდე რესპონდენტების ყველაზე დიდი ჯგუფი შეშას 2 თვის განმავლობაში აშრობდა (38.7%), დაახლოებით თანაბარი ხვედრით წილი აქვს 1 და 3 თვის განმავლობაში შეშის გამოშრობას (დაახლ. 21-23%). დანარჩენი თვეების რაოდენობას მინიმალური ხვედრითი წილი აქვს, ხოლო გამოშრობის ხანგრძლივობა მერყეობს 20 თვემდე.

ცხრილი №5.3:

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ხე-ტყის გამოყენების შემდეგი ხერხების შესახებ:	სულ	ბულო	შუახევი
როგორ უნდა მოიჭრას ხე-ტყე ტერიტორიის დაზიანების გარეშე?			
დიახ	28.1%	30.0%	20.5%
ნაწილობრივ	46.6%	46.7%	46.3%
არა	23.6%	21.7%	31.4%
მიჭირსპასუხის გაცემა	1.6%	1.6%	1.8%
რა სახეობის ხე-ტყის გამოყენებაა უმჯობესი გასათბობად (ლუმელი, ბუხარი და ა.შ.)?			
დიახ	41.9%	44.7%	30.6%
ნაწილობრივ	37.1%	33.4%	51.4%
არა	11.0%	10.6%	12.4%
მიჭირსპასუხის გაცემა	10.1%	11.2%	5.6%
რამდენად მნიშვნელოვანია ხე-ტყის მასალის (შეშის) გამოშრობა, ვიდრე გასათბობად გამოიყენებთ?			
დიახ	46.8%	46.3%	49.1%
ნაწილობრივ	31.3%	29.8%	37.5%
არა	10.3%	10.7%	8.9%
მიჭირსპასუხის გაცემა	11.5%	13.2%	4.6%
რამდენი თვის განმავლობაში უნდა ხდებოდეს ხე-ტყის მასალის (შეშის) გამოშრობა?			
დიახ	47.0%	47.4%	45.3%
ნაწილობრივ	28.3%	26.2%	36.5%
არა	10.7%	11.6%	6.8%
მიჭირსპასუხის გაცემა	14.1%	14.7%	11.4%

ცხრილი №5.4:

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ხე-ტყის გამოყენების შემდეგი ხერხების შესახებ:	ბულო						შუახევი			
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლიფანი	პაქსაძეები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალკიძეები
როგორ უნდა მოიჭრას ხე-ტყე ტერიტორიის დაზიანების გარეშე?										
დიახ	83.3%	3.4%	24.4%	32.7%	25.5%	33.8%	20.2%	17.8%	9.5%	53.6%
ნაწილობრივ	13.3%	66.9%	52.9%	38.8%	39.8%	50.0%	64.2%	29.3%	75.7%	13.0%
არა	2.2%	26.3%	18.6%	28.0%	33.7%	15.7%	14.0%	51.6%	12.4%	31.9%
მიჭირსპასუხის გაცემა	1.1%	3.4%	4.1%	0.5%	1.0%	0.5%	1.6%	1.3%	2.4%	1.4%
რა სახეობის ხე-ტყის გამოყენებაა უმჯობესი გასათბობად (ლუმელი, ბუხარი და ა.შ.)?										
დიახ	97.8%	2.5%	53.9%	46.3%	42.9%	36.4%	36.8%	36.3%	10.7%	66.7%
ნაწილობრივ	1.1%	20.3%	30.5%	37.9%	37.8%	26.8%	52.3%	40.1%	76.3%	15.9%
არა	-	4.2%	9.2%	13.7%	19.4%	8.1%	10.4%	12.1%	11.2%	15.9%
მიჭირსპასუხის გაცემა	1.1%	72.9%	6.4%	2.1%	-	28.8%	0.5%	11.5%	1.8%	1.4%
რამდენად მნიშვნელოვანია ხე-ტყის მასალის (შეშის) გამოშრობა, ვიდრე გასათბობად გამოიყენებთ?										

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ხე-ტყის გამოყენების შემდეგი ხერხების შესახებ:	ხულო							შუახევი		
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლივანი	პაქსაძეები	ღურთა	წაბლანა	ახალდაზა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
დიახ	96.7%	3.4%	57.6%	44.0%	53.1%	50.0%	31.1%	79.0%	14.8%	65.2%
ნაწილობრივ	1.1%	11.9%	28.1%	39.0%	16.3%	12.6%	53.9%	7.0%	71.6%	23.2%
არა	-	2.5%	8.5%	13.2%	29.6%	4.5%	13.5%	7.0%	10.7%	8.7%
მიჭირსპასუხის გაცემა	2.2%	82.2%	5.8%	3.8%	1.0%	32.8%	1.6%	7.0%	3.0%	2.9%
რამდენი თვის განმავლობაში უნდა ხდებოდეს ხე-ტყის მასალის (შემის) გამოშრობა?										
დიახ	85.6%	8.5%	63.1%	45.0%	45.9%	57.6%	26.9%	72.0%	24.9%	34.8%
ნაწილობრივ	1.1%	17.8%	18.0%	36.2%	20.4%	9.1%	46.6%	14.0%	64.5%	18.8%
არა	-	2.5%	11.9%	11.8%	31.6%	3.5%	19.7%	5.1%	8.9%	5.8%
მიჭირსპასუხის გაცემა	13.3%	71.2%	7.1%	7.0%	2.0%	29.8%	6.7%	8.9%	1.8%	40.6%

ცხრილი №5.5:


რამდენი თვის განმავლობაში აშრობდით შეშას, მის გასათბობად გამოყენებამდე?	სულ	ხულო	შუახევი
0 თვე	7.8%	9.1%	2.9%
1 თვე	23.7%	26.1%	14.0%
2 თვე	38.7%	41.9%	26.2%
3 თვე	21.1%	16.0%	41.0%
4 თვე	5.4%	4.2%	10.1%
5 თვე	1.6%	1.2%	3.1%
6 თვე	1.2%	1.1%	1.8%
7 თვე	0.2%	0.1%	0.5%
8 თვე	0.1%	0.1%	-
10 თვე	0.1%	0.1%	0.3%
15 თვე	0.1%	0.1%	-
20 თვე	0.2%	0.2%	-

გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 35.4%-ს ცალსახად სურს დაესწროს სეინარს ხე-ტყის მდგრადი განვითარების (ხე-ტყის გამოყენება გარემოს რაც შეიძლება ნაკლები დაზიანებით) შესახებ (უფრო დიახ, ვიდრე არა - მიუთითებს 12.2%). სოფლების მიხედვით ჭრილში აღმოჩნდა საინტერესო ტენდენცია:

- ✓ იმ ზოგიერთ სოფლებში, რომლებიც შედარებით მეტად იყვნენ ინფორმირებულნი ხე-ტყის გამოყენების სხვადასხვა ხერხების შესახებ, უფრო მეტია სემინარზე დასწრების მზაობა (გელაძეები, მახალაკიძეები);
- ✓ იმ სოფლებში, სადაც ძალზე დაბალი იყო ინფორმირებულობა, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი გამოთქვამს სემინარზე დასწრების სურვილს (დიაკონიძეები, ჩანჩხალო).

დიაგრამა №5.3:

გაქვთ თუ არა სურვილი დაესწროთ სემინარს ხეტყის მდგრადი განვითარების შესახებ?



ცხრილი №5.6:

გაქვთ თუ არა სურვილი დაესწროთ სემინარს ხეტყის მდგრადი განვითარების (ხეტყის გამოყენება გარემოს რაც შეიძლება ნაკლები დაზიანებით) შესახებ?	ხული							შუახვევი		
	გვლამები	დიაკონიები	დიდაქარა	ვაშლოვანი	პაქსაბები	ლურთა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიები
დიახ	66.7%	28.8%	24.4%	40.5%	24.5%	32.8%	21.2%	59.2%	27.2%	39.1%
უფრო დიახ, ვიდრე არა	1.1%	2.5%	13.6%	9.0%	18.4%	6.6%	25.4%	9.6%	27.8%	2.9%
უფრო არა, ვიდრე დიახ	1.1%	3.4%	15.3%	7.7%	32.7%	5.1%	8.8%	10.8%	4.1%	2.9%
არა	8.9%	65.3%	45.4%	33.9%	21.4%	53.0%	40.4%	18.5%	40.2%	55.1%
მიჭირს პასუხის გაცემა	22.2%	-	1.4%	8.9%	3.1%	2.5%	4.1%	1.9%	0.6%	-


ბრაკონიერობა

გამოკითხულთა 35.9% აღნიშნა, რომ აქვს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერიტორიაზე, სადაც მათ მიერ წარმოებს ხეტყის მოჭრა, ამგვარი ქმედება ნებადართულია. დაახლოებით მესამედი ნაწილობრივ ინფორმაციას ფლობს ხოლო თითქმის 24%-ს არ აქვს ინფორმაცია. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოკითხულთაგან თითქმის ყველა ზამთარში გასათბობად შეშას იყენებს, და მესამედი თავად აწარმოებს ხეტყის მოჭრას, შესაძლოა საქმე პოტენციურ ბრაკონიერობასთან გვექნდეს (გასათვალისწინებელია რომ იმ რესპონდენტთაგან, ვინც აღნიშნა, რომ თავად ან მისი ოჯახის წევრი აწარმოებენ ხეტყის მოჭრას, 33.6% აქვს არასრული/მეტ-ნაკლები

ინფორმაცია იმის შესახებ არის თუ არა ნებადართული აღნიშნულ ტერიტორიაზე ხე-ტყის მოჭრა. არ აქვს ინფორმაცია - 9.3%-ს). სოფლების მიხედვით ჭრილში, ამ კუთხით ყველაზე ინფორმირებული მოსახლეობა აღმოჩნდა გელაძეებში (70%), ღურტაში (68%.2), მახალაკიძეებში (59.4%), ხოლო ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი კი - პაქსაძეებში (4.1%) და დიაკონიძეებში (17.8%).

ცხრილი №5.4:

გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერიტორიაზე, სადაც თვენაწარმოებდით ხე-ტყის მოჭრას, ამგვარი ქმედება ნებადართულია?



ცხრილი №5.7:


გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერიტორიაზე, სადაც თქვენ აწარმოებდით ხე-ტყის მოჭრას, ამგვარი ქმედება ნებადართულია?	ხულო						შუახევი			
	გელაძეები	დიაკონიძეები	დიდაჭარა	ვაშლოვანი	პაქსაძეები	ღურტა	წაბლანა	ახალდაბა	ჩანჩხალო	მახალაკიძეები
დიახ, მაქვს რული ინფორმაცია	70.0%	17.8%	30.2%	33.9%	4.1%	68.2%	26.4%	36.3%	28.4%	59.4%
დიახ, მაქვს მეტ-ნაკლები ინფორმაცია	22.2%	47.5%	35.6%	23.5%	17.3%	8.6%	33.7%	33.8%	64.5%	14.5%
არმაქვს ინფორმაცია	3.3%	31.4%	18.3%	35.3%	14.3%	19.2%	32.6%	27.4%	5.9%	4.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	4.4%	3.4%	15.9%	7.3%	64.3%	4.0%	7.3%	2.5%	1.2%	21.7%

